განსაკუთრებული
დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის

**ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 55**

ქ. თბილისი 26 ნოემბერი 2021წ.

ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი — ეროვნული სატყეო სააგენტო (შემდგომ – სააგენტო), წარმოდგენილი ტყითსარგებლობის დეპარტამენტის უფროსის ზურიკო ყელიხაშვილის (პ 01025008059) სახით, რომელიც მოქმედებს სააგენტოს უფროსის 2021 წლის 4 ნოემბრის N11/57 მინდობილობის ფარგლებში და მეორეს მხრივ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოე „კავკასიის სამთო ჯგუფი"-ს (ს/ნ: 404 908 775 შემდგომში- ტყითმოსარგებლე), წარმომადგენელი ვა გურჩიანის (პ/ნ 62007003820), რომელიც მოქმედებს შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი"-ს დირექტორის 2021 პირველი სექტემბრის N14/ზ მინდობილობის ფარგლებში, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანო "საქართველოს ტყის კოდექსი"-თ, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილები დამტკიცებული "ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულებით და „შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი სთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, ქვე ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანში, 324945 კვ.მ. მიწის ფართობზ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ" სს ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2021 წლის 12 ნოემბრის N2313/ს ბრძანების (შემდგომში - ბრძანება) შესაბამისად ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1. წინამდებარე ხელშეკრულების მიზანია, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს, ქვემო ქართლის სატყე სამსახურის, ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის, კაზრეთის სატყეოს N24 კვარტლის N1 ლიტერში, N1 კვარტლის N11 ლიტერში, N14 კვარტლის NN 16; 18 ლიტერებში, N23 კვარტლის NN1; 2; 3; 5; 6; 7; 8; 9; 1 11; 12; 13; 14 ლიტერებში და N17 კვარტლის NN4; 5; 6; 7; 10 ლიტერებში, N2313/ს ბრძანები განსაზღვრულ სახელმწიფო ტყის 324945 კვ.მ. მიწის ფართობზე (ს/კ: NN80.13.67.075; 80.13.67.14 80.13.67.145; 80.13.67.146 -იხ. დანართი), სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან (ლიც.N1000208 დაკავშირებული ინფრასტრუქტურის (მ/შ არსებული მისასვლელი - დამხმარე გზების რეაბილიტაციი ახალი გზების მშენებლობის და შემდგომი ფუნქციონირების მიზნით ან ამისთვის საჭირო საპროექტ ან/და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება) მოწყობა/მშენებლობის მიზნით, ლიცენზიი მოქმედების ვადით (2041 წლის 13 ოქტომბრამდე), ტყითმოსარგებლის მიერ განხორციელდე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა (1612.62 კბ.მ. სხვადასხვა სახეობი ხე-ტყის სპეციალური სარგებლობის ჭრების ნებართვით).

2. აღნიშნული ხელშეკრულება განსაზღვრავს ამ მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებულ სახელმწიფო ტყით (შემდგომში — ქონება) კანონმდებლობით დადგენილი სარგებლობის წესებსა დ

ზურიკო ყელიხაშვილი ვაჟა გურჩიანი

პირობებს, მხარეთა უფლება-მოვალეობებს და სხვა დებულებებს, რომლებიც შეთანხმებული და მოწონებული იქნა წინამდებარე ხელშეკრულების მხარეთა მიერ.

3. ტყითმოსარგებლეს უფლება აქვს, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა განახორციელოს სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის, ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის, კაზრეთის სატყეოს N24 კვარტლის N1 ლიტერში, N15 კვარტლის N11 ლიტერში, N14 კვარტლის NN 16; 18 ლიტერებში, N23 კვარტლის NN1; 2; 3; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14 ლიტერებში და N17 კვარტლის NN4; 5; 6; 7; 10 ლიტერებში, 324945 კვ.მ. მიწის ფართობზე.

4. დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## მუხლი 2. ტყითმოსარგებლის უფლებები და მოვალეობები

1. ტყითმოსარგებლეს უფლება აქვს:

ა) გამოიყენოს დამაგრებული ფართობი მხოლოდ ბრძანებაში გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად;

2. ტყითმოსარგებლე ვალდებულია:

ა) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკომპენსაციო საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარის და ამავე ხელშეკრულების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირების შესახებ შესაბამისი დოკუმენტების სააგენტოში წარმოდგენის შემდგომ, 15 კალენდარული დღის განმავლობაში, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ქვემო ქართლის სატყეო სამსახურთან გააფორმოს ხელშეკრულების პირველი მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული სახელმწიფო ტყის მიღება-ჩაბარების შესაბამისი აქტი;

ბ) განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისას იმოქმედოს ბრძანებით დადგენილი წესით;

გ) დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო წესები, ხოლო ხანძრის შემთხვევაში მიიღოს ყველა ზომა მის სალიკვიდაციოდ;

დ) თავისი საქმიანობით ხელი არ შეუშალოს ტყის მოვლისა და დაცვის ღონისძიებების განხორციელებას;

ე) არ გამოიყენოს ტყითსარგებლობისათვის გადაცემული ქონება ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საქმიანობის საწარმოებლად;

ვ) არ გადასცეს ტყითსარგებლობისთვის გამოყოფილი ქონება სხვა პირს;

ზ) უზრუნველყოს ქონების მოვლა-პატრონობა;

თ) სააგენტოს მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუმეტეს მოთხოვნის მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს მას ინფორმაცია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების თაობაზე;

ი) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაარეგისტრიროს წინამდებარე ხელშეკრულება და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი წარუდგინოს სააგენტოს.

კ) საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებულ „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის და 66-ე მუხლის პირველ პუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ჭრებ შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის ჭრის ადგილზე დახარისხების შემთხვევაშ ტყითმოსარგებლე ვალდებულია განახორციელოს სამასალე მერქნული რესურსის დაუკოტრავი სახით ხოლო საშეშე მერქნული რესურსის – დაკოტრილი სახით ტრანსპორტირება და სახეობების მიხედვი დასაწყობება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის მიერ მითითებუ ტერიტორიაზე და გადასცეს ამავე სამსახურს მიღება-ჩაბარების აქტით. მერქნული რესურსის გამოტანა დ დასაწყობება განხორციელდეს ფაქტობრივად ჩატარებული ჭრების მიხედვით, ეტაპობრივად, ათი დღი ვადაში.

**მუხლი 3. სააგენტოს უფლებები და მოვალეობები**

1. სააგენტო უფლებამოსილია:

ა) საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს კონტროლი ქონების ამ ხელშეკრულებით და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოყენებაზე;

ბ) აღკვეთოს ტყითმოსარგებლის ყველა არამიზნობრივი ქმედება;

გ) მოსთხოვოს ტყითმოსარგებლეს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა;

დ) ტყითმოსარგებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების ან/და საქართველოს შესაბამის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.

2. სააგენტო უფლებამოსილია ხელშეკრულება ცალმხრივად ვადამდე მოშალოს თ ტყითმოსარგებლე:

ა) არადანიშნულებისამებრ იყენებს ქონებას ან/და არღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს;

ბ) განზრახ ან დაუდევრობით აზიანებს ქონებას ან ქმნის ასეთი დაზიანების რეალურ საშიშროებას;

გ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 4. ტყითმოსარგებლის წარმომადგენლობა და გარანტიები**

1. ამ ხელშეკრულების თანახმად ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად ტყითმოსარგებლე იძლევა გარანტიას, რომ იგი წარმოადგენს პირს, რომელიც საქართველოში წარმართავს თავის საქმიანობა საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

2. ტყითმოსარგებლის წარმომადგენელი, ფიზიკური ან იურიდიული პირი აღჭურვილი უნდა იყოს სათანადო უფლებამოსილებით ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი დოკუმენტის ხელმოსაწერად, რომლის მიზნით იგი მოქმედებს სრულ შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან იქნება ეს კანონი, კანონქვემდებარე აქტი, თუ სხვა ნებისმიერი სახის ნორმატული აქტი.

3. ამ ხელშეკრულების ხელმოწერით ტყითმოსარგებლე ადასტურებს, რომ არ არსებობს სასამართლო ან/და საარბიტრაჟო დაწესებულების გადაწყვეტილება, ან/და ხელშეკრულების ხელმოწერის

მომენტისათვის მიმდინარე ან/და მოსალოდნელი სასამართლო ან საარბიტრაჟო დავა, რომელიც თუნდაც უმნიშვნელო ზეგავლენას მოახდენს ან მოახდენდა ხელშეკრულებაზე მთლიანობაში ან/და მისი ცალკეული დებულების აღსრულებაზე.

4. ტყითმოსარგებლე ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის მას არა აქვს დადებული რაიმე ხელშეკრულება, შეთანხმება ან არა აქვს ნაკისრი წერილობით თუ ზეპირი სახით რაიმე ვალდებულება, რაც თუნდაც შეაფერხებს, შეაჩერებს ან შეუძლებელს გახდის მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებაში მოცემული ნებისმიერი პირობების შესრულებას.

5. ტყითმოსარგებლე ადასტურებს, რომ ხელმოწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს მისთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მავალებელ სამართლებრივ დოკუმენტს.

6. ტყითმოსარგებლე ადასტურებს, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის არსებული მისი წარმომადგენლობა და გარანტიები ცალსახად და უპირობოდ ვრცელდება ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ პერიოდზე.

7. ტყითმოსარგებლე ადასტურებს, რომ სრულად, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დათქმულ ვადებში შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ უკლებლივ ყველა პირობას და ნაკისრ ვალდებულებებს.

8. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით ტყითმოსარგებლე იძლევა გარანტიას და ადასტურებს, რომ მის მიერ შესრულებულია ან/და დაკმაყოფილებულია ყველა ის მოთხოვნა, აგრეთვე მიღებულია ყველა სახის ნებართვა თუ თანხმობა, რაც საჭირო იყო ამ ხელშეკრულების დადებისთვის და შესრულებისთვის.

9. ტყითმოსარგებლე იძლევა გარანტიას და ადასტურებს, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის მის მიერ გაკეთებული ყველა განაცხადი თუ განცხადება ფაქტობრივად სწორია და შეესაბამება სინამდვილეს.

**მუხლი 5. დამატებითი პირობები**

წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ხელშეკრულების პირველი მუხლის 1-ელი პუნქტით განსაზღვრული ფართობის საკადასტრო გეგმა.

**მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა**

1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების პირობათა განმეორებითი დარღვევა მიიჩნევა სააგენტოს მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად. ამ შემთხვევაში, ტყითსარგებლობისათვის გადახდილი საფასური ტყითმოსარგებლეს უკან არ უბრუნდება.

3. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შესაბამისი ტერიტორიული სატყეო სამსახური.

**მუხლი 7. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები**

წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) ხელშეკრულების ვადის გასვლით;

ბ) მხარეთა შეთანხმებით;

გ) მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების არსებითი დარღვევის შემთხვევაში;

დ) მხარეთა ლიკვიდაციისას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 8. ფორს-მაჟორი**

მხარეები პასუხს არ აგებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებისათვის, შეუსრულებლობისათვის, ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ იგი გამოწვეულია მხარეებისაგან დაუძლეველი გარემოებების წარმოშობით (ფორს-მაჟორი).

**მუხლი 9. შეტყობინებები**

1. მხარეები კორესპონდენციას ერთმანეთს აწვდიან წერილობით, რომელიც მხარეს გადაეცემა პირადად (ხელზე ჩაბარებით), ელექტრონული ფოსტით, ან საფოსტო გზავნილით.

2. შეტყობინებები მხარეებს მიეწოდებათ მათი იურიდიული მისამართის ან ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით.

**მუხლი 10. დავები**

მხარეები მიმართავენ ყველა ძალისხმევას, რათა მათ შორის წამოჭრილი ყველა უთანხმოება გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკებათა გზით საკითხების გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში, დავა წყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, დადგენილი წესით.

**მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი წარედგინება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ხოლო ორი ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია ბრძანებით გათვალისწინებული (2041 წლის 13 ოქტომბრამდე) ვადით.

**მუხლი 12. ცვლილებები, შესწორებები და დამატებები**

წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი დანართი, დამატება, ცვლილება, შესწორება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის შემთხვევაში.

**მუხლი 13. გადასახდელი თანხის ოდენობა და გადახდის ვადები**

1. ტყითმოსარგებლემ, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვ საკომპენსაციო საფასურის გადახდა განახორციელოს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის № დადგენილებით დამტკიცებული "ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების 77-ე მუხლ დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად სულ: 463819.56 (ოთხასსამოცდასამიათას რვაასცხრამე ლარი და 56 თეთრი) ლარის ოდენობით. აქედან 116980.2 ლარი (324945 კვ.მ) ფართობ სარგებლობისთვის, ხოლო 346839.36 ლარი (1612.62 კბ.მ.) ხე-ტყის ჭრის.

2. ტყითმოსარგებლემ ამ ხელშეკრეულების ხელმოწერიდან - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნ სააგენტოში ტყითსარგებლობის უფლების რეგისტრაცია უზრუნველყოს 45 (ორმოცდახუ კალენდარული დღის ვადაში.

3. ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვად ტყითმოსარგებლემ უნდა გადაიხადოს საკომპენსაციო საფასური.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევ ტყითმოსარგებლეს დაეკისროს პირგასამტეხლო - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მთლი გადასახდელი თანხის 1%-ის ოდენობით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| ტყითმოსარგებლე<br><br>შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი"<br><br>მის:<br><br>ს/ნ: 404 908 775<br><br>ბანკის კოდი:<br><br>ანგარიშის ნომერი: | სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო<br><br>მის: ქ. თბილისი გ. გულუას ქუჩა N6.<br><br>საიდ/კოდი:204578581<br>ტელ (+995 32) 2755939<br><br>მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა, მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი-TRESGE22, სახაზინო კოდი/ანგარიში N707367521 |

ტყითმოსარგებლე

ვაჟა გურჩიანი

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

ზურიკო ყელიხაშვილი